შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“-ს

(ს/კ 204886454)

განცხადება

შშმ პირებისთვის განკუთვნილი ჰიდრავლიკური პლატფორმისა და პანორამული შახტის მონტაჟის უსაფრთხოების შესახებ

ჩვენს მიერ განხილულ იქნა შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“-ის სამუშაო ობიექტზე (ი.ჭავჭავაძის გამზ. 25) შშმ პირებზე გათვლილი ლიფტის დამონტაჟების საკითხი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შშმ პირებისთვის განკუთვნილი ჰიდრავლიკური პლატფორმისა და მისი პანორამული შახტის მონტაჟი, რომელიც დაგეგმილია შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ შენობის გარე ფასადზე, განხორციელდება მოქმედი სამშენებლო, საინჟინრო და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

პროექტით გათვალისწინებული პანორამული შახტა წარმოადგენს დამოუკიდებელ მეტალის კონსტრუქციას, რომელიც დაპროექტებულია შესაბამისი ტექნიკური და საინჟინრო მოთხოვნების გათვალისწინებით. კონსტრუქცია უზრუნველყოფს საკუთარი და პლატფორმის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი დატვირთვების უსაფრთხოდ მიღებასა და გადანაწილებას.

ჰიდრავლიკური პლატფორმისა და პანორამული შახტის მონტაჟი არ გამოიწვევს შენობის მზიდი ან არამზიდი კონსტრუქციული ელემენტების დაზიანებას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ შახტის კონსტრუქციის დამაგრება შენობაზე მოხდება მხოლოდ საანკერე წესით.

სამუშაოები განხორციელდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ, მოქმედი სტანდარტებისა და მწარმოებლის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

დირექტორი: გიორგი გოგიაშვილი

ხელმოწერა: _____

თარიღი : 29.05.2026